საექსპერტო შეფასება

ანგარიშზე „ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა №6ვ, ორი ორსართულიანი და ერთი ერთსართულიანი საგამოფენო სივრცის მშენებლობისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთის, ს/კ№01.14.06.008.065 საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევა “.

შ.პ.ს “თეგეტა მოტორსი”-ს თხოვნით ჩვენს მიერ 2021 წლის იანვარში შემოწმებული იქნა ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა №6ვ, ორი ორსართულიანი და ერთი ერთსართულიანი საგამოფენო სივრცის მშენებლობისათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე, ს/კ№**01.14.06.008.065,** ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა №6ვ, ორი ორსართულიანი და ერთი ერთსართულიანი საგამოფენო სივრცის მშენებლობისათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე, ს/კ№**01.14.06.008.065,** ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შპს „კირკიტაძე და კომპანია“-ს გეოლოგიური ჯგუფის მიერ 2021 წლის იანვარში, სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი, ინჟინერ-გეოლოგი თ. კვეტენაძე. მათ მიერ არის შესრულებული გრუნტის თვისებების გამოკვლევები.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი აკრეფილი კომპიუტერზე---------- 8 გვ.
2. ტექნიკური დავალება----------1 გვ.
3. მოედნის ტოპოგეგმა----------1 ფურც.
4. სამთო გამონამუშავების ლითოლოგიური სვეტები----------1 ფურც.
5. მოედნის გეოლოგიური ჭრილი----------2 ფურც.

პროექტით საკვლევ მოედანზე უნდა აშენდეს ორი ორსართულიანი და ერთი ერთსართულიანი საგამოფენო სივრცე.

მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დასადგენად, საკვლევ მოედანზე გაყვანილი იქნა 4 ჭაბურღილი, თითოეული 8.0 მ. სიგრძის. ჭაბურღილებიდან აღებული იქნება ნიმუშები გრუნტების თვისებების დასახასიათებლად.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე, საკვლევ მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ფენა 1 – ნაყარი ფენა.
2. ფენა 2 - ძნელპლასტიკური თიხნარი ღორღოვან ხვინჭოვანი მარცვლებით

ანგარიშში მოკლედ არის მოცემული საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური, გეოლოგიური და ჰიდროლოგიური პირობები. მოცემულია ზემოაღნიშნული ქანების საინჟინრო გეოლოგიური დახასიათება, მათი ნორმატიული და საანგარიშო მაჩვენებლები. შენობების დაფუძნება მოხდება ფენა ორზე ამიტომ მისი თვისებები ანგარიშში დეტალურად არის განხილული.

დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა №6ვ, ორი ორსართულიანი და ერთი ერთსართულიანი საგამოფენო სივრცის მშენებლობისათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე, ს/კ№01.14.06.008.065 ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები, აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით. ცალკეული შენიშვნები ჩვენს მიერ გამოთქმული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებული იქნა და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. დასასრულს ავღნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას და შეიძლება დაედოს საფუძვლად მშენებლობის პროექტს საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს დამსახურებული მშენებელი,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი /გ. ჭოხონელიძე/